ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3761587

ნომერი: AR1566610

თარიღი : 22.12.2017

გაცემის თარიღი : 29.12.2017

გაცნობის თარიღი : 29.12.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე გოგილოს აბანოს მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მამუკა ხახიაშვილი პ/ნ 01014001924
- თბილისი ბ.ხმელნიცკის ქ. N 48 კორ. 8 ბ. 82

ორგანიზაცია:
- შპს ლაინ მედია კოდი: 206242797

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:
თქვენს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე #01.17.01.138.024 დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის, მიხედვით ვრცელდება: სარეკრეაციო ზონა (რზ-1) სადაც დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა გარდა: განათების, სარწყავი სისტემების, სარეკლამო ბილბორდის, დეკორატიული გაფორმების ობიექტების, კიბეების, საფეხმავლო გზების ან/და ბილიკების.
ყოველივე ზემოარნშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან სარეკრეაციო ზონა - 1 (რზ-1)ში დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა ღობის მოწყობასთან დაკავშირებით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.